

გაზეთი ღირს თვეში 100 მანეთი. ცალკე ნომერ  
ყველგან 25 მ. განცხადებას ფასი პირველ გვერდ  
ზე პეტიტის სტრიქონი 20 მან. მეორე გვერდზე  
15 მან. სამკლავიარო განცხადება შეიქმნება  
საქარონი არიან სამედიკო კორუპციის ქვეშ  
დასაბეჭდი წერილები და კორექტივები უნდა  
ჯერობით გამოიგზავნება შექმნას სამართით  
ქ. სოხუმი, 1-ლი სოფ. სანაპირო რაზმის შტაბი  
კალა გულიაშვილს, ვაზ. „სიპარტლის ხმა“-ათვის

**მიიღება ხელის მოწერა**

ყოველ კვირეულ უპარტიო და სალიბერალურ გაზეთ

**სიპარტლის ხმა-ზე**

გაზეთის ფასი:

წლიურად	1200 მ.
თვიურად	100 —
ცალკე ნომერი	25 მ.

ხელის მოწერა მიიღება: ე. ბობუასთან, ნ. ქურიძესთან  
ქ. გულიაშვილთან და ვასო ალანიახთან.

**კვირა, 13 თებერვალი.**

ამ გამწვავებულ ეკონომიურ კრიზისში, როცა განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი შეიქნა, მთელი სი-გრძელ სივრცით წინ წამოდგა ზრუნვა იმაზე, თუ როგორ იქნას ეს პირდაპირ კატასტროფიული მოვლენა და მისგან გამოწვეული საზოგადოებრივი ტკივილები, თუ სრულიად მო-სპობილ არა რამდენიმეთ მაინც შე-მსუბუქებული. სახელმწიფოს უმთა-ვრეს საზრუნავს ამ უპაბო სწორეთ ეს შეადგენს. და არა თუ მარტო სახელმწიფოსა, თათქმის ყველა სო-ციალისტური, თუ არასოციალისტ-ური გაზეთებიც ამაზე მოსთქვამენ. ადგილობრივმა „ნაშე-სლოვო“-მაც უძღვნა ამ საკითხს მოწინავე ამას წინათ.

მერე რა ჰყრია ყველა იმ სიტყვა-თა კორიანტელში, რომელიც აღნი-შნულ საგანზე დაყენეს გულწრფე-ლად ამ საკითხით დაინტერესებულმა თუ არა გულწრფელმა, უმეტესად „ჩვენც ვხნავდათ“-ის პოლიტიკის მიმდევარმა კალმოსნებმა?

რომ მუშა-მოსამსახურეთა მდგო-მარეობა აუტანელია, ეს ცხადზე უცხადესია!

რომ ამ მდგომარეობას გაუმჯო-ბესება უნდა, ესეც კვშიარიტებაა.

რომ გაფიცვები და სხვა ექსცესები საქმეს არა თუ უშველას, კიდევ უფრო გამწვავებს, ესეც გასაგები.

მაშ რაღა დარჩა სადამო? სადაოთ და სამსჯავროთ მიგვაჩნი-ის ზომები, რომლისთაც ფიქრობენ ჩვენი ცხოვრების ამ მტკივანი ადგი-ლის, რაც შეიძლება აღრფ მოწვე-ლება-გაჯანსაღობას.

ამისთვის, ჩვენის აზრით, მარტო რაიმე ზომის დასახელება როდი კმა-ჩა. საქაროა, რომ ის სასწრაფოთ გატარებული იქნას ცხოვრებაში.

რომ შრომის ნატურალიზაცია კარგი და დროს შესაფერი ზომია, რომ ის ერთად ერთი გზაა დღევ-ნდელს კრიზისში მუშათა კლასის სა-ხსნელათ, ეს ჩვენზე აღრფ სხვებმა სთქვეს, სხვებმა გაარკვიეს. საქმე სი-ტყუა კი არა, საქმე საქმეა. და სწო-რეთ ამ დიადი საქმის დროულათ განხორციელება მოითხოვს შესაფერ-პირობებს. ეს პირობები ბევრ ნაი-რია და ყველა მათგანს ჩვენ აქ არ შეეგებებით. ვეცდებით მხოლოთ გა-ვარკვაოთ ეს უმთავრესი პირობები, რომლებშიაც „შრომის ნატურალი-ზაციის“ განხორციელების დაჩქარე-ბა, მისგან საგრძნობ სახარებლო შე-დეგების მიღება შესაძლებელია.

თვით მთავრობაც შრომის და მო-მარაგების სამინისტროების პირით

აღიარებს, რომ ჯერ-ჯერობით პირ-ველ მოთხოვნების საგნებით მუ-შა მოსამსახურეთა უზრუნველ ყო-ფაც დიდათ საძნელოა არსებულ ში-ნაგან და საერთაშორისო პირობებში (მეორე ხარისხოვან საგნებზე ზომ-ლაპარაკიც შეტია) ევროპა ამკრივი-დგან პირველთა მიღებაც ძნელი და საეჭვოა. ჩვენი საკუთარი მეურნოვ-ბა კი ჯერჯერობით საკმაოს ვერ იძლევა. მაშასადამე, საქაროა ხელის გამოღება, ყველა ძალების ამოქმედე-ბა, რომ პირველსაქაროების საგნებით მაინც უზრუნველყოთ საკუთარი მოთხოვნები. უნდა დათესოს ყველა თვისუფალი მიწები, უმდა დაშადდეს შეშა და სხ. და სხ.

ესთქვით, რომ ყველა ეს მოვახე-რხეთ, ყველაფერს რისიც დაშადე-ბა კი შეგვიძლია დავაშადეთ. ხვეით თქმულიდგან ცხადია, რომ ეს ჩვენს გაჭირვებას მაინც ვერ უშველის. უკვე გამწვავებულ მდგომარეობა პრ-ოგრესიულად დღითი დღე უფრო მწვავდება. პირველმოთხოვნების საგნებით უზრუნველყოფამ თითქმის უკვე დაშარგა თავისი შნიშნელობა, რადგან მეორე და მესამე ხარისხის საგნები უკვე დღესვე სდგას პირვე-დს რიგში. ხალხი გატიტვლდა, ტა-ნის და ფეხის დასაფარავი აღარაფე-რი აქვს. უსუფთაობა, როგორც ამ-ისი პირდაპირი შედეგი, დღითი დღე ძლიერდება. მუშათა რიგებში სილა-ტაკე უკიდურესობამდის აღწევს... ამავე დროს კი იქით, მეორე მხრით ძველი და ახალი მოდის განცხრომის შედეგების დ რბაზებში ძველებურად ჩვეულებრივად ჩაფლულნი არიან სა-კმელ-სასმელსა, ძვირფას ტანსაცმელ-სა და ფუფუნებაში ჩარჩ-სბეკულიან-ტები და სხვადასხვა ჯურისი და ზო-მის დროს კაცები, თუ კაცუნები, აშკარათ თუ მალულათ სულ მალა-ყებს გადადიან მუშათა გაჭირვებაზე. და ყველა ეს ხდება მუშათა ბატონ-ობის ხანაში...

რაშია საქმე? ჩვენის აზრით საქმე შემდეგშია: დღეს, ამ სახელისწერო ეკონომიურ კრიზისის ხანაში, ამ საერთო ეკონო-





შიურ კრიზისის ხანაში, ამ საერთო ეკონომიურ გლოვაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, არავის არ აქვს უფლება გამოიჩინოს ისეთი ბედოვლათობა, ისეთი ფლანგვა სახალხო სიმდიდრისა, რაცა პირდაპირი შედეგია მხოლოდ ამ სიმდიდრის უთანასწორო, უსამართლო განაწილებისა!

მოიგონეთ თუნდაც პატივცემული მოხუცის კაუცკის, გაფრთხილებანი ამ ფლანგვისა და ბედოვლათობის შესახებ... და ჩვენ კი... ასეთ წარმოდგენებლ უწესრიგობას ვიჩენთ სახალხო სიმდიდრის ხელგაშლით, და უზოგველათ, ბედოვლათობით ფლანგვაში. თორემ რაც ჩვენში დღეს სახალხო სიმდიდრეა, თუ ამასთან ეწყაით შრომასაც გავადვილებთ, ჩვენი საზენდმწიფოს შესაუერ შრომის ორგანიზაციას შევქმნით და ამის ნაყოფსაც ზედ დეუმიტებით, მაშინ ჩვენ ბედს ძაოლი ვერ დაპყვეს.

შრომის ორგანიზაცია კი მართლაც რომ დროს შესაფერი გვეჭირება. აუარებელ მუქთა-ხორას, რომლებიც თავდ დღეს ჩვენში ისე არხინად გრძნობენ, არავითარი უფლება არ აქვთ სახალხო სიმდიდრით სარგებლობისა და ყველა ისინი ჩამძულ უნდა იქნან ამ სიმდიდრის შექმნაში.

დღეს ჩვენში ყოველი სპეკულიანტი დიდი საქმის კაცია და არხინად გადადის მალაყებს მშრომელი ხალხის ზურგზე.

ამ სფეროშიაც უნდა ჩარევა და შესაფერი სისტემის შეტანა.

და ამ სწორეთ ყველა ეს ჩვენ მიერ დასახელებული ზოვები, ვფი-

ქრობთ, რომ ბოლოს და ბოლოს შექმნიან ისეთ პირობებს, როცა უაზრო ფლანგვის, ერთის მხრით, და, მეორე მხრით, უაზრო მოთმინებასც ადგილი აღარ ექნება. ყველა ერთნაირად იქნება ჩაყენებული აუცილებლობით გამოწვეულ მომჭირნეობა-დამზოგველობის რკინის ჩარჩოვიში. ამით უკმაყოფილებაც შენელებდა და თვით სახალხო სიმდიდრეც სწრაფი ნაბიჯით ზრდის დაიწყებს არა ერთი რომელიმე კლასის მოთმინება-გაჭირვებისა, არამედ საერთო დაზოგვა-მომიძრნეობის ნიადაგზე. და სწორეთ მაშინ შრომის ნატურალიზაციის ნამდვილათ განხორციელება და ჩვენს აწეწილ-დაწეწილ ეკონომიურ ცხოვრებაში რაიმე სიმწყობრისა და კოტათ თუ ბევრად გაუჭობებსების შეტანაც შესაძლო გახდება.

ეს იქნება, ოუ გნებავთ, ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში გაღუნული ხაზის გასწორება და ნამდვილი დემოკრატიული გზით მისი მიმართვა.

## სოფალი ლაშით

(სურათი)

ლაშეა. ჰყეფენ ძაღლები. გულმდარათ სძინავს სოფელსა. ფიქრსა მოუცავს სახლები, კაეშნით განუყოფელსა...

ცალგვერდზე წახრილ ქობეზში უღრტვინველობა ბოგინობს; ორლობე-გზა-ორწობებში ქარი შლის თოვლის ლოგინებს...

გულჩათხრობილი სერები თავს დასდგომიან ველსა, ვით მონასტერში ბერები, შეა-ლამის ლოცვის მთხვევლებსა.

აქა-იქ ხმელი ფოთლები ხეებზე საწყალად ბერინავენ, თითქოს ნაპარში ობლები შიმშილისაგან კრინავენ..

შორით მთაც შავი, დიადი, წამოხდგომია თავზედა, ამაცი და გულ-ზვიადი საქმებზე ჰფიქრობს შავზედა.

ღრუბლებით გარემოცულა, განმდგარა მიუკარები, და თუმცა-ცის მნათი მოსულა, დაუხშავს მისთვის კარები...

ნისლი, თოვლი და ტალახი. ხე, ჩირვვი, ეკალ-ნარები... აქა იქ ხმელი ბალახი...

გზის გამსწვრავ ღობას სარები... მამლებს ხშირი ყვილი, აქა იქ ცხენის ფრუტუნნი. შორით ტურების კვილი.

მგლის ხმა, ძაღლების წკმუტუნნი... ჩუ! ვილაც კიდევ ყიფინებს; თოფის ხმა. სტვენა. ქაღილი. ხმა სწყდება; ისევ იძინებს სოფლის უაზრო წაღილი...

ლაშეა. ჰყეფენ ძაღლები. გულმდარათ სძინავს სოფელსა. მწარ ფიქრს მოუცავს სახლები, კაეშნით განუყოფელსა!..

ნ. ზომლეთელი



## ფალატონი

### ფიქრები დემოკრატიზმზე (გაგრძელება)

მაგრამ „ისტორია მეორდება“ ამბობენ და არც უზრალოთ. ეს ჩვეულებრივი ლაშაზმ ანდაზა კი არ გახლავთ, არამედ საგანზი დაკვირვებულ მეცნიერულ შეხედულების საბრტულად გამოთქმული ფორმულა: სწორეთ ოთხივე ფეხით ამ განმეორების შესაძლებლობის ხანაში ვცხოვრობთ ჩვენ.

რა ნაირია ეს ხანა, რომელშიაც ჩვენ ვხლავ ვიმყოფებით და რომელზედაც აქ არის ლაპარაკი?

ამ კითხვაზე ერთხელ და სამუდამოთ გადაჭრილი პასუხის მიცემა დიდათ საფრთხილოა და იმ რატომ.

ყოველი დრო ხასიათდება თავისი შინაარს-მამდინარეობით და ამ მიმდი-

ნარეობის შესაფერ უახლოესი მიზნებით, ანუ, როგორც იტყვიან, დროს შესაფერი მომენტით. მაგრამ მარტო ამი კოდნა როდი კმარა. კმასყოფელი და დიდათ საჭიროა ამ მომენტის დახასიათება, მისი სისწორით დაფახება, მისი დაკვირვებული ანალიზი საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფები ამ ანალიზს სხვა და სხვა გვართ უკეთებენ და ამ რიგით მომენტის დაფასებაში სხვა და სხვაობას იჩენენ.

თქმცა ეს საზოგადო მოსაზრებაა, მაგრამ თანაჰედრვე ხანაშიაც სწორეთ ასევე ხდება.

შიმდინარე ხანის დახასიათებანიც ბევრნაირია. სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფი ამ ხანას სხვა და სხვა მხრით უდგება. მაზე სხვა და სხვა შეხედულებას იძლევა. მაგრამ ყველა ამ ჯგუფების შეხედულებანი ჩვენ ამ უამათ ერთნაირად როდი გვინტერესებს. საინტერესოა და ყო-

ველი სადი დემოკრატიისთვის საცოდნელათაც საფაღდებულთა მხოლოდ ორი უმთავრესი მიმდინარეობა, ორი შეხედულება, ეგ ცხოვრების ორი უმთავრესი პოლიუსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელთა შუა და ირგვლივ იკრიბებიან ყველა დანარჩენ საზოგადოებრივ ჯგუფები. ეს ჯგუფებიც თავიანთ ზრახვებსა და მოქმედებებს ააშკარაებენ თავიანთ იდეოლოგიაში, ანუ იმ იდეოლოგიის მატარებელ პარტიკაში. საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელი პარტიკა, ეს ის ცოცხალი აპარატია, რომლის საშეაღებითაც აზროვნებაში ისახება და სინამდვილეში სისხლ-ხორცისხამს ამ ჯგუფის სულის კვეთება. ეს ასეა, მაგრამ როგორია ის უმთავრესი მიმდინარეობა, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ?

საზოგადოებრივი მეცნიერებაც სწორეთ ჩვენ მიერ ზევით მოყვანილ





# ხელი უეუფუვით ჩვენს გაზეთს

## ახალი „ვეფხისტყაოსანი“ სოხუმისთვის

ეხ, სოხუმი, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?  
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა,  
სადაურსა სად მოიყვან, მოიყვან და შესვამ ვირსა;  
ვირში კაცი არ დაინდოს, უკვინტოს და დასცეს ძირსა!...

ესეა ესე ქალაქი, მინდობა მისი ძნელია:  
მისთვის სულ კარგიც რომ გსურდეს, შენთვის სულ ავის მქნელია,  
ავსა კი კარგათ ჩაგიფელის, საკნის უკულში მხსნელია;  
ჰხამს, რომ აივსოს ტალახით ქუჩები მისი ბნელია!...

ვინცა რაცა მას გამოჩნეს, დასკინცლოს და ჯიბეს ედოს,  
თვით ირგოს და სხვასაც არგოს, საქმე თვისი განიდიდოს,  
საქალაქო, საზოგადო-საპირალოს გაუხილოს,  
მხოლოთ თვისი შიშე ჯვარი ბრახინაღიძან ზილოს!..

თუ თავი შენი თავადობს, ღარიბათ არ მეგულეები,  
ახალსა ახალ კოვხაძეს ებროს შენი თულები,  
ჯობაძემ ჯობით გიზომოს ჰაგარნი დანერგულები;  
გაშენდეს ბაღია და ბაღი, უცხო რამ თაიგულები!..

ჰხამს ქალაქი ქალაქობდეს, მოძრაობდეს, ჩაუქობდეს,  
საქმის დღეზე საქმობდეს და უქმე დღეზე რაუტობდეს,  
თავის დროზე თვისთა წყლულთაც წაშალს თვითვე დაუდობდეს,  
თვისი ბედი თვით განავოს, თვითვე მიხვდეს რა უჯობდეს!...

აწ-და ჰხამს შენთა ამბავთა მეც მივსცე დახასრულია:  
მწყინს ხვედრი შენი ასე რათ ბედისგან დაჩაგრულია.  
თავისა უმადურობით უჩხურ და გეწვის გულია:  
შენი რაც არის, არ არის, რაც არა, — დაკარგულია!...

ონისიშე

აზრისა საზოგადოებრივ ძალთა დანაწილების შესახებ, როცა ის ცხოვრებას ფორტოგრაფიულად იღებს. მაგრამ სწორეთ იმ მთავარ და უაღრეს შეხედულებაში, რომელსაც საზოგადოებრივი შეცნირება ამ საგანზე წინ აყენებს, გამოსქვივის ამ სინამდვილის სალი და ავთმყოფი მხარეები და მასთან ერთად ის უეზარტი დოსთაქრული საშვალეხანდ, რომელთა მეოხებითაც ისტორიისაგან უკვე განწირული ცხოვრების ავთმყოფი მხარეები ჰპოებენ თავიანთ განსასვენებელ ადგილებს, ხოლო სალი და ახლათ ჩახახული მოვლენები თავიანთ გასაზრდელ-განსავითარებელ მტკიცე გზებს.

მაშ როგორია ეს შეხედულება? მსოფლიოს დიდებულმა ეკონომისტებმა, ფილოსოფოსებმა და იმავე დროს სოციალისტებმა, მარქსმა და ენგელსმა, ამ ნახევარი საუკუნის

წინეთ მოახდინეს ჯერ არ გავონილი ანალიზი კაცობრიობის ცხოვრებისა, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი ხანისა და მიადგენ იმ დასკვნას რომ კაცობრიობა დაყოფილია ორ უმთავრეს, ერთი მეორის საშველო სასიცოცხლოთ მოწინააღმდეგე კლასთათ ესენია: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ზვეით მოხსენებული საზოგადოებრივი ჯგუფები კი, თუმცა დებულობენ ამ ბრძოლაში მონაწილეობას, მაგრამ ირახმებიან ან ბურჟუაზიისთან ერთად პროლეტარიატის საწინააღმდეგოთ, ან პროლეტარიატთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ თვით იმათ ბრძოლაში კი ცხოვრების მიმდინარეობასთან ერთად შესაძლებელია სხვა და სხვა ცვლილება-ცვლილებალობინი, ერთი ფრონტიდან მეორეში გადავარდნა. ისინი ასეთ მერყეობას იმიტომ იჩენენ, რომ

წარმოადგენენ ცხოვრების ძველი კეცებიდან დანატოვებ ჯგუფებს. მერყევია ისინი, ვინაიდან მორყეულია, თუ სრულიად მომსპარი არა მათი ეკონომიური, თუ სხვა მდგომარეობა. მხოლოთ ზვეით მოხსენებული ორი კლასი ხდვას ერთი მეორის საწინააღმდეგოთ ქეჩო აყრილი, მუდამ ჟამს ბრძოლისათვის განმზადილი. ასეთი შაიი დამოკიდებულება გამომდინარეობს თვისთ მათი ბუნებიდან, რომლის სახელიც ვახლავთ „შეურ გებლობა“! ამ ორ კლასშორის შესაქლოა მხოლოთ დროებითი ზავი, ერთისგან მეორის დამარცხების ნიადაგზე, ხოლო შერიგება კი-ყოვლად შეუძლებელი.

(შემდეგი იქნება)

ნ. ქურიძე



# ზეიპინათ რვენი გაზეთი

ეროვნული  
გეგმობითი

## ოცნების რაშს

ოცნების რაში შევკაზმე,  
სამო ნდობით ბურვილი  
და ფიქრის ეტლში შევაბი,  
შეგ ჩავსვი ჩემი სურვილი...  
მეტლეთ გრძობა ვახლე,  
გონებით გამოხზობილი,  
და გავაქროლე სტრფოსკენ!  
გაღვივდა გულის წყურვილი!  
ოცნების რაში წინ გ სწი,  
ეტლი სულ წინ წინ აქროლე,  
დროთა ბრუნვისა ქარიშხალს  
შეშყარე, მასთან მადრძოლე...  
სამტროთ მომართულს სტიქიონს  
წაღმა ვუბრუნო პარი ში,  
მაშ, არ მიმტყუნო, გასწი წინ,  
პირ და პირ, შენი ჭირაშე...

ე ბოხუა

## ჯ-კაცთა ცხოვრები- და.

შეორე ათასეული

ყვ ლას კარგ დ ესმის, თუ რა დიდი  
მნიშვნელობა აქვს ჯარში განათლების  
შეტანას. ასეთ დიად საქმე ს დიდ ყურადღ  
აქცევს დ ნეილი მაწავარაანი. ის ყო-  
ველ ღონის ძიებას ხბარობს, რათა კუ-  
ლტურული მუშობა ჯარში გავრცელ-  
ბული იქნეს. და მისი წყალობით  
დღეს რაგზეა მოწყობილი. დაარსებულია  
თეატრა, სადაც მოწინავე ელემენტუას  
შეერ კვირაში ერთხელ იმართება წარმ-  
ოდგენ , რით ც საშუალება ეძლევა ჯ. კა-  
ცებს გაეცნონ თანამედროვე ცხოვრებას.  
დაარსებულია გრეთე ჯ. კაცთა უნი-  
ვერსიტეტი, სადაც იკითხება ლექციე-  
ბი. რაც შეეხება წერა-კაიხვის უცოდრ-  
ნარ ჯ. კაცებს ყოველ განაშა ყავთ  
ამორტიული ხელმძღვან და ოფიცრები  
რომელნიც ჯ. კაცებს ასწავლიან.

სამეურნეო ნაწილის საქმეც კარგად  
მიმდინარეობს, რას გ მო მადლობის  
ღირსია ბ. პოლკოვნიკი ლეკვიანაძე.

ასეთია საერთოდ საქმის მიმდინარე-  
ობა მეორე ათასეულში. თუ წყლიწად  
ნახევარი ვს ხეობები ამ ათასეულში  
და ისეთ კარგ ნიადაგზე დაყენებული  
ათასეულის საქმე, როგორც მეორე ათა-  
სეულია არსად არ მინახავს. ძლა კი სა-  
მსახურიდან ვთავისუფლები და გული  
შწყდება რომ ვცილ ბი მეორე ათასეუ-  
ლს.

ჯ. კაცებისადმი ასეთი კარგი დამო-  
კიდებულობით ბ. ლენ რალი იმეღია  
დიდი ნდობას და თ ნაგრძობას დაიმ-  
სახურებს, და ჭირში და ღხანში მასთან  
იქმნებიან როგორც კარგს და ღირსეულ  
წამულიშვილს - შე ფერას.

ჯ. კ. დ. მუავია

## გამარჯვების მოლოდინში

ჩემთვის ოცნების ცა შოპირქუშა,  
ბუნებამ შორთო მწარეთ ქვითინი,  
და სევდის ქარმა, ცაემა და უნდომ,  
ქვეყნად დაიწყო ისევ სისინი...  
გამოვესალმე განცხრომის წუთებს,  
დაბლა ქაობში მომეცა ბინა,  
და ობლით შენვილ გულშიც მკერდიღვან  
მძიმეო და მწარეთ ამოიგვინა...  
ირველთე ბნელოდა... და ამ ბნელეთში  
შორსვად ბეუტავლა შერთალი ვარსკლავი,  
შან ჩაჩისაბა გულში იმედი,  
გამასაღებევა სულათ ჩრთოლოავი!  
რადათ ჩავთეოიდი აშდენ ტანჯევა,  
თუ კი სიაშეთ შეგეცელებოდ?  
თუ მისი შუქი, ცხოველ მყოფელი.  
მთელსა მიდაშოს მოვდებოდა?  
ნე ამ ოცნებას გარდ-ყვეილებში  
პირად ტანჯვა მავიწყდებოდა  
და მომავალით ფატაცებულსა  
ბრძოლის სურვილი გულს მედებოდა!..

კ. ჩაღაბაშისპარტლი

## ლინ ნარილი

გაზეთ „სიმართლის ხმა“-ს სარე-  
დაქციო კოლეგეიას  
გაზეთ „სიმართლის ხმა“-ს სარე-  
დაქციო კოლეგეიიდან გავდივართ  
და ვიხსნით ყოველგვარ პასუხის  
გებლობას თავიდან. ამა 1921 წლ.  
13 თებერვლიდან, ჩვენგანდაშორუკი-  
დებულ საპატიო მიწეზთა გამო  
ეგვენ ბოხუა, ვასო აჯანია.

## რედაქციისაგან

სარედაქციო კოლეგიის ორი  
წევრის წასულით, თუბცა საქმე გე-  
ბრკოლდება, მაგრამ კოლეგიის  
უმრავლესობა თავის ადგილზე რჩე-  
ბა და გაზეთიც განაგრძობს გამო-  
სვლას

## საქურადლეგო აშვები

საქართველოს სოც.-დემოკრატი-  
ულ პარტიის ცენტრალურმა კომი-  
ტეტმა, პარტიიდან გარაცხა კირ.  
ნინიძე, მუხრან ხოქოღავა, ილ.  
ფირცხალაიშვილი და ნიკიფორე  
იმნაიშვილი.

ამ დღებში დამფუძნებელ კრე-  
ბის კულუარებში, თბილისის ქალ.  
მოურავმა ბენია იხიკვიშვილმა ფიზი-  
კური შეურაცყოფა მიიყენა პროფე-  
სორ შ. ნუცუბიძეს, რამაც ესფერთა  
ბანაკში დიდი აღიაქოთი გამოიწვია.

მიუხედავთ საქ. სოც.-დემ. პარ-

ტიის და კონფერენციის დადგენი-  
ლებსა, გაზ. „ახალი-სხივის“ დახუ-  
რვის შესახებ, როგორც ოპოზიც.  
ორგანო ის კვლავ განაგრძობს  
გამოსვლას.

## რვენი უოსსა

სოფ. ოღგანსკი—გ. ხეცურიანს:  
თქვენი წერალი მომავალ ნომერში  
დაიბეჭდება.

გამოცემა სარედაქციო

კოლეგ იისა

## გეგმობითი კომისარიატის მიერ

ნებადართულია

## საკომერციო გუხბალტერიის

## კურსები

კომერც. მეცნიერებ. მასწავლებლის  
ი. გ. გალფარინისა

კურსები 3 თვეული. კერსდამთა-  
ვრებულთ ეძლევათ დობლობი.

კურსებზე ჩაწერა სწარმოებს  
4-დგან—ნ საათამდი ადგილობრივ  
ქალთა გიმნაზიის შენობაში, შესავა-  
ლი ეზოდგან პარველი სართული.  
მეტადინეობა დაიწყება 20 თებე-  
რვლიდან.